



ბრძანება:ბ14.14210494

თარიღი:18/02/2021

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნის, საბანკო მომსახურებაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შერჩევის მიზნით გამოცხადდეს კონკურსი.

2. მიმდინარე ანგარიშების მომსახურების ვადა განისაზღვროს 2021 წლის 02 მარტიდან 2022 წლის 01 მარტის ჩათვლით, აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს მხარეთა შეთანხმებით 1 (ერთი) კალენდარული წლის ვადით.

3. ბანკის მიერ ლარში ანგარიშების ყოველდღიურ ნაშთზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის საწყისი ოდენობა განისაზღვროს წლიური 15.6%-ით.

4. კონკურსის მონაწილის მიერ ერთი განცხადების შეთავაზების ოდენობად (ერთი ბიჯი) განისაზღვროს არანაკლებ ლარში ანგარიშების ყოველდღიურ ნაშთზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის წლიური 0,2%-ით.

5. დამტკიცდეს კონკურსის თანდართული პირობები.

6. კონკურსის ჩატარება უზრუნველყოს კომისიამ შემდეგი შემადგენლობით:

ა) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე).

კომისიის წევრები:

გ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი;

დ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი;

ე) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი (კომისიის მდივანი);

7. კონკურსში მონაწილეობის მსურველთაგან განცხადებების მიღება კონკურსში მონაწილეობაზე განხორციელდეს 2021 წლის 18 თებერვლიდან 2021 წლის 24 თებერვლის 18⁰⁰ სთ-მდე.

8. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უზრუნველყოფის წინამდებარე ბრძანების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე (www.batumi.ge) გამოქვეყნება.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი კონკურსის პირობები

1. კონკურსის პირობები

1.1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტი ბანკი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) არ უნდა ხორციელდებოდეს ბანკის ლიკვიდაცია და არ უნდა მიმდინარეობდეს ბანკის გაკოტრების პროცესი;

ბ) ბანკს მინიჭებული უნდა ჰქონდეს საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Fitch Rating-ის ან/და Standard and Poor's-ის რეიტინგი;

გ) ბანკს უნდა გააჩნდეს ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე არანაკლებ ერთი საბანკო მომსახურების სრული სერვისის მქონე ფილიალი ან/და სერვის ცენტრი;

დ) ბანკის მიერ საბანკო ანგარიშებზე ტრანზაქციების დრო, ოდენობა და რაოდენობა არ უნდა იყოს შეზღუდული საქართველოს საბანკო სფეროში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვების გათვალისწინებით;

ე) ბანკის მომსახურების ტარიფები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

ე.ა) ორგანიზაციის ანგარიშის გახსნა და წარმოება - უფასო;

ე.ბ) ორგანიზაციის ანგარიშიდან ეროვნული ვალუტის გადარიცხვა და ანგარიშზე ეროვნული ვალუტის ჩარიცხვა საკომისიოს გარეშე;

ე.გ) ორგანიზაციის ანგარიშზე ნაღდი ფულის შეტანა ან/და გატანა საკომისიოს გარეშე;

ე.დ) ინტერნეტ ბანკის რეგისტრაცია და მომსახურება - უფასო;

ე.ე) ბანკმა უნდა უზრუნველყოს:

ვ.ა) ორგანიზაციასთან გააფორმოს საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, კონკურსის პირობების შესაბამისად არანაკლებ ერთი კალენდარული წლით, 2021 წლის 02 მარტიდან 2022 წლის 01 მარტის ჩათვლით;

ვ.ბ) ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში კლიენტის ანგარიშებზე არსებულ ფულად სახსრებს ყოველდღიურად დაარიცხოს და ყოველი კალენდარული თვის დასრულებიდან მომდევნო კალენდარული თვის პირველ საბანკო დღეს ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამის სახაზინო კოდზე ჩარიცხოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო სარგებელი.

ვ.გ) კონკურსის პირობები შეასრულოს მთელი სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში.

ზ) შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკმა ასევე უნდა უზრუნველყოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომელთა სახელფასო პროგრამით მომსახურება შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ზ.ა) თანამშრომლებისათვის ინტერნეტ ბანკინგის სტანდარტული პაკეტის და SMS ბანკის სერვისის რეგისტრაცია და მომსახურება - უფასო.

ზ.ბ) თანამშრომლებისათვის ანგარიშის გახსნა და ანგარიშის მომსახურება - უფასო;

ზ.გ) პლასტიკური ბარათის დამზადება/გაცემა და ბარათის საკომისიო - უფასო (თანამშრომლებს VISA/MASTERCARD CLASSIC, მენეჯმენტს VISA/MASTERCARD GOLD, ბარათის მოქმედების ვადა არანაკლებ 2 წელი, მინიმალური ნაშთი არ მოითხოვება).

ზ.დ) დაკარგული და დაზიანებული ბარათის აღდგენა, პინ-კოდის შეცვლა ან აღდგენა, ასევე ბარათის დამზადება ვადის გასვლის - უფასო.

ზ.ე) თანამშრომლების მიერ სალარე ანგარიშიდან თანხის განაღდება ბანკის კუთვნილ ბანკომატებში და სერვის ცენტრებში - უფასო;

ზ.ვ) თანამშრომლებისათვის ინტერნეტ ბანკინგის სტანდარტული პაკეტის და SMS შეტყობინებების სერვისის რეგისტრაცია და მომსახურება - უფასო;

ზ.ზ) თანამშრომლებისათვის ოვერდრაფტის მოცულობა - ხელზე ასაღები ხელფასის 100%.

1.2. მიმდინარე ანგარიშების მომსახურების ვადა განისაზღვროს 2021 წლის 02 მარტიდან 2022 წლის 01 მარტის ჩათვლით, აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს მხარეთა შეთანხმებით 1 (ერთი) კალენდარული წლის ვადით.

1.3. ბანკის მიერ ლარში ანგარიშების ყოველდღიურ ნაშთზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის საწყისი ოდენობა განისაზღვროს წლიური 15.6%-ით.

1.4. კონკურსის მონაწილის მიერ ერთი განცხადების შეთავაზების ოდენობად (ერთი ბიჯი) განისაზღვროს არანაკლებ ლარში ანგარიშების ყოველდღიურ ნაშთზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის წლიური 0,2%-ით.

1.5 ბანკი ვალდებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღისა წარუდგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია 200 000 (ორასი ათასი) ლარის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ ერთი კალენდარული თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას და არ უნდა იყოს გაცემული იმავე ბანკის მიერ.

1.6. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული ბანკი უარს იტყვის ხელშეკრულების გაფორმებაზე ან გამარჯვებული ბანკი დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უპირობო გარანტიას, საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია კონკურსში მონაწილე პრეტენდენტ ბანკთან, რომელიც დააფიქსირებს გამარჯვებული ბანკის შემდეგ საუკეთესო წინადადებას.

2. კონკურსში მონაწილეობის წესი

2.1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოში დადგენილი წესით ლიცენზირებულ კომერციულ ბანკს.

2.2. კონკურსში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის პირმა უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობით შევსებული განაცხადი, სადაც მითითებული უნდა იყოს, რომ ბანკი თანახმაა მოემსახუროს ორგანიზაციას კონკურსის პირობების და ვადის შესაბამისად (დანართი 1-ის მიხედვით);

ბ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

გ) ინფორმაცია ქალაქ ბათუმში ბანკის ფილიალების/სერვის ცენტრების რაოდენობის შესახებ, მათი მისამართი. ასევე, Fitch Rating-ის ან/და Standard and Poor's-ის რეიტინგის შესახებ;

დ) სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა ბანკის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის შესახებ, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი საბუთის ასლი.

3. კონკურსის ჩატარების წესი

3.1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია კომერციული ბანკის წარმომადგენელს - იმ პირს (პრეტენდენტს), რომელიც წარმოადგენს ბანკის განცხადებას კონკურსში მონაწილეობის სურვილის შესახებ და კონკურსში მონაწილეობის წესით (პუნქტი 2) განსაზღვრულ დოკუმენტაციას.

3.2. კონკურსში მონაწილეობის სურვილის შესახებ განცხადებას, მასზე თანდართულ ინფორმაციას და დოკუმენტაციას იბარებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილება (კანცელარია).

3.3. კონკურსი შეიძლება შედგეს, თუ მასში მონაწილეთა რაოდენობა არის მინიმუმ ერთი.

3.4. კონკურსის დაწყებამდე კომისია ამოწმებს მონაწილეთა კონკურსზე დაშვების კანონიერებას.

3.5. კონკურსის დროს გაიმართება ვაჭრობა საბანკო ანგარიშზე არსებულ თავისუფალ ფულად სახსრებზე დასარიცხი წლიური სარგებლის ოდენობაზე.

3.6. კონკურსს ატარებს კომისიის თავმჯდომარე, რომელიც ვაჭრობის დაწყებისას აცხადებს ლარში ანგარიშების ყოველდღიურ ნაშთზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის საწყის ოდენობას და ბიჯს.

3.7. კონკურსზე ვაჭრობის (საჯარო ვაჭრობა) დასაწყისად ითვლება საპროცენტო სარგებლის საწყისი ოდენობის გამოცხადების მომენტი.

3.8. ვაჭრობის დროს კონკურსის თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს მოახდინოს განცხადების (ბიჯი) შეთავაზება ფასის თაობაზე, რომელიც არ უნდა იყოს დაწესებულ ბიჯზე ნაკლები.

3.9. თუ კონკურსში მონაწილეობს მხოლოდ ერთი მონაწილე, სავალდებულოა მის მიერ ფასის თაობაზე ერთი განცხადების (ბიჯი) შეთავაზება მაინც.

3.10. ვაჭრობა დამთავრებულად ითვლება, თუ კომისიის თავმჯდომარემ სამჯერ მოითხოვა საბოლოო განცხადების (ბიჯი) შეთავაზება ფასის თაობაზე და ასეთი ვერ მიიღო.

3.11. ვაჭრობაში გამარჯვებულად ავტომატურად ითვლება, ვინც კომისიის თავმჯდომარეს შესთავაზა ბოლო განცხადება ფასის თაობაზე. გამარჯვებულს აცხადებს კომისიის თავმჯდომარე.

3.12. კონკურსს დასრულებულად აცხადებს კომისიის თავმჯდომარე.

3.13. კონკურსის ჩატარებას სავალდებულოა ესწრებოდეს კომისიის არანაკლებ ნახევარზე მეტი.

3.14. კომისიის საქმიანობას ხელმძღვანელობს და კონკურსის ჩატარებას საერთო კოორდინაციას უწევს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

3.15. კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კონკურსის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას, კომისიის წევრების ინფორმირებას კონკურსის დროს, თარიღისა და ადგილის შესახებ, საჯარო ვაჭრობის მიმდინარეობის შესახებ ოქმის შედგენას და საჯარო ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვა უფლებამოსილების განხორციელებას.

3.16. საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე კომისია ამოწმებს დაინტერესებული პირის კონკურსის მონაწილედ რეგისტრაციის კანონიერებას, ასევე საჯარო ვაჭრობაზე გამოცხადებული პირის ვინაობას და რწმუნდება, რომ დაინტერესებული პირის კონკურსის მონაწილედ რეგისტრაცია განხორციელდა კანონიერად, ხოლო საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად გამოცხადებული პირი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს

საჯარო ვაჭრობაში როგორც კონკურსის მონაწილემ ან/და კონკურსის მონაწილის წარმომადგენელმა.

3.17. თუ კომისია დაადგენს, რომ დაინტერესებული პირის კონკურსის მონაწილედ რეგისტრაცია განხორციელდა წესის დარღვევით, ასევე საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად გამოცხადებული პირი არაუფლებამოსილია საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, როგორც კონკურსის მონაწილის წარმომადგენელმა, კომისია საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად გამოცხადებულ პირს უარს ეტყვის საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობაზე.

3.18. საჯარო ვაჭრობის შესახებ კომისიის მიერ დგება საჯარო ვაჭრობის მიმდინარეობის შესახებ ოქმი, რომელსაც ამტკიცებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

4. გარიგებათა გაფორმების წესი

4.1. საჯარო ვაჭრობის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან მხარეთა შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს მხარეთა შორის ურთიერთობის ძირითად დოკუმენტს.

4.2. ხელშეკრულების გაფორმება უნდა განხორციელდეს საჯარო ვაჭრობის მიმდინარეობის შესახებ ოქმის დამტკიცების თაობაზე შესაბამისი აქტის გამოცემიდან არა უგვიანეს 03 (სამი) სამუშაო დღისა, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში კონკურსის შედეგები უქმდება, რომელიც არ საჭიროებს დამატებითი წერილობითი გადაწყვეტილების მიღებას.

4.3. მხარეთა შორის დასადებ ხელშეკრულებაში სავალდებულოა გათვალისწინებული იქნას კონკურსის პირობები, საქართველოს კანონმდებლობით და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის ფორმები და სხვა მონაცემები გასაფორმებელი ხელშეკრულების სპეციფიკის გათვალისწინებით.

5. სხვა პირობები

5.1. კონკურსი გაიმართება 2021 წლის 25 თებერვალს 12⁰⁰ სთ-ზე. მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25, მეორე სართული, მერის სათათბირო ოთახი.

5.2. კონკურსში მონაწილეთა მიერ, კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადებები, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად უნდა ჩაბარდეს 2021 წლის 18 თებერვლიდან 2021 წლის 24 თებერვლის 18⁰⁰ საათამდე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილებას (კანცელარიას). მისამართი: მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25. 2021 წლის 24 თებერვლის 18⁰⁰ საათის შემდეგ განცხადებები კონკურსში მონაწილეობის შესახებ არ განიხილება და დაუბრუნდება პრეტენდენტ ბანკს ან მის წარმომადგენელს.

5.3. საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით საკონტაქტო პირია: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე, ტელ: **422 27 26 46**; მობ: **577 24 27 30**; ელ ფოსტა: **e.nataridze@gmail.com**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევ საკონკურსო კომისიას

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი :

(კონკურსში მონაწილეობაზე)

გაცნობებთ, რომ -----

(ორგანიზაციული ფორმა, ბანკის დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი)

წარმოდგენილი -----

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

გავცანით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევ კონკურსის პირობებს.

სურვილი გვაქვს მონაწილეობა მივიღოთ აღნიშნულ კონკურსში, რისთვისაც წარმოგიდგენთ:

- ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- სანოტარო წესით დამოწმებულ მინდობილობას წარმომადგენლობაზე;
- წარმომადგენელი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს.
- ბანკის რეიტინგის დამადასტურებელ დოკუმენტს;
- ინფორმაციას ქ. ბათუმში ბანკის ფილიალების/სერვის ცენტრების შესახებ.

გამოვთქვამთ თანხმობას, ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში სრულად შევასრულოთ საკონკურსო პირობები.

განმცხადებელი: -----

(თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა, თარიღი, ტელეფონი)